



რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__/__

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: const@constcourt.ge; ვებგვერდი: www.constcourt.ge

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

I. ფორმალური ნაწილი

1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

შპს „თავისუფალი
უნივერსიტეტი“

სახელი, გვარი/სახელწოდება

პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი

მისამართი

ალტერნატიული მისამართი

ტელეფონი

ელექტრონული ფოსტა

2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1](#)

საქართველოს მოქალაქეების - კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (no. 702 კონსტიტუციური სარჩელი)

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება შენიშვნა 2

სასამართლოს მეგობრის პოზიცია მომზადებულია საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის მიერ. კვლევაზე მუშაობდნენ სტუდენტები:

თინათინ კიკვიძე, ნუცა ბახტაძე, ელენე ჩხეიძე, ნინო დარახველიძე, ანი დოლიძე, თავისუფალი უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი:

გიორგი ბურჯანაძე

სასამართლო მეგობრის მოსაზრება

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

I შესავალი

II სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი

III სასჯელის მიზნები სისხლის სამართალში

IV სამართლიანი სასამართლოს უფლება

V ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა

I შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმა კონსტანტინე ლაბარტყავამ, მალხაზ ნოზაძემ და ირაკლი გიგოლაშვილმა. მოსარჩელები ითხოვენ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისთვის 3 წლით, ხოლო ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობის ან ამგვარი საშუალების გავრცელების ხელშემწყობი პირისთვის 5 წლის ვადით, დამატებითი სანქციის სახით, გარკვეული უფლებების ავტომატურად ჩამორთმევას. მოსარჩელები ასევე სადავოდ ხდიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს, რომელიც ადგენს, რომ საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმები მოსარჩელებს ართმევს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური და სამოქალაქო უფლებების გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის

სატრანსპორტო საშუალების მართვის; საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის; საადვოკატო საქმიანობის; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის; პასიური საარჩევნო ხმისა და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებებს.

მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ სადავოდ გახდილი ნორმები აწესებს აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას, რითაც ირღვევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, ისევე როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელის ავტორები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებს, მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს, 28-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს, აგრეთვე 29-ე მუხლის პირველ და 30-ე მუხლის პირველ პუნქტებს.

მოსარჩელეთა აღნიშნული აგუმენტების გათვალისწინებით, წინამდებარე სასამართლოს მეგობრის

მოსაზრებაში მოყვანილია:

ა. მოსაზრება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან დაკავშირებით;

ბ. მოსაზრება სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით;

გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით;

დ. ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა;

II სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი

სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისკენაც ისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით. სასჯელის მიზნები საქართველოს კანონმდებლობით არის დაკონკრეტებული. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ამჟამად ადრე არსებული „სამაგიეროს მიზღვის თეორია“ სისხლის სამართლის მეცნიერებაში სრულიად უარყოფილია და ძირითადად სასჯელის მიზნები იყოფა ორ ჯგუფად: უტილიტარულ და არაუტილიტარულ მიზნებად. სასჯელის მიზნის უტილიტარული გაგება გულისხმობს სასარგებლო ეფექტის მიღებას, კერძოდ, დამნაშავის ან სხვათა მხრიდან მომავალში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შეზღუდვასა და შემცირებას. ხოლო სასჯელის არაუტილიტარული მიზნები მოიცავენ მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპის აღიარებას, რაც ამერიკელი მეცნიერის რ. ფრეისის აზრით, თვით სასჯელის მიზანია.¹

სამართლიანობის ცნება სასჯელის სხვა მიზნებისაგან განყენებულად არ არის. იგი თავისი არსით სასჯელის სხვა მიზნების განხორციელებასაც ემსახურება. თუმცა სამართლიანობის ცნება უფრო ფართოა და მასში ბევრად სხვა რამ არის ჩადებული. სასჯელის სამართლიანობაში უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა, საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა და შესაძლებლობის ფარგლებში სადამსჯელო ღონისძიებათა ეკონომიური გამოყენება.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სასჯელის ერთ-ერთ და უდავოდ უმთავრეს მიზნად აღიარებულია დამნაშავის რესოციალიზაცია.² პროფესორი გურამ ნაჭყებია სასჯელის მიზნად რესოციალიზაციის საკითხის განხილვისას, ხაზს უსვამს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარების რეალურ მნიშვნელობას.³ იგი თვლის, რომ დამნაშავის აღზრდის პრობლემის გადაწყვეტისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, ვინაიდან მის გარეშე ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება. ამ მიზნის მიღწევის გარეშე კი სისხლის სამართლის სასჯელს აზრი ეკარგება და იგი სამაგიეროს მიზღვის სახესხვაობად გადაიქცევა.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული პრაქტიკულად განხორციელებული დანაშაული და მისი ჩამდენი პირები გამოირჩევიან ინდივიდუალობით, რაც კანონმდებელს აიძულებს სასჯელთა დიფერენცირებას მიმართოს. წარმოუდგენელია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, თუ სისხლის სამართლის კანონი ყოველი

¹ შზია ლევკვიშვილი, „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, მართლმსაჯულება და კანონი, #4,2014, 18,20.

² სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი.

³ გურამ ნაჭყებია, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, (თბილისი, 2011), 100.

კონკრეტული შემთხვევისათვის მოსამართლეს საშუალებას არ მისცემს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სასჯელი.⁴

საკმაოდ საინტერესოა გ. ვიდალის შეხედულება დანაშაულისა და დამნაშავის პასუხისმგებლობის პროპორციულობის შესახებ, სადაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კანონმდებელთან ერთად მოსამართლის როლს სასჯელის ინდივიდუალიზაციის სფეროში. ეს აზრი გადმოცემულია მის ნაშრომში: „დანაშაულისა და სასჯელის პროპორციის დასადგენად კანონმდებელმა უნდა დაიწყოს დანაშაულთა კლასიფიკაციით და მათი ურთიერთსიმძიმის დადგენით და იხელმძღვანელოს სოციალური აუცილებლობის და სამართლიანობის საწყისებით. სასჯელისა და დამნაშავის პასუხისმგებლობის პროპორციის დადგენისას საქმეში კანონმდებელმა, რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს დამნაშავის ხასიათი და პიროვნება, უნდა გადასცეს ეს კომპეტენცია მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულად შეაფასოს სასჯელის დანიშვნის საფუძვლები. მაშასადამე, აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ნება დართოს მოსამართლეს შეცვალოს სასჯელი ცალკეული დანაშაულისათვის. ამ მიზნით არის დაწესებული სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეს შეუძლია შეუფარდოს სასჯელი მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებურების შესაბამისად“.⁵

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოს მოსამართლეები თითოეული სამართალდამრღვევისათვის სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული დანაშაულისათვის განსხვავებული შეიძლება იყოს, და ამ გარემოებათა გათვალისწინებით გამოაქვთ გადაწყვეტილება სასჯელის შეფარდების შესახებ.⁶ ეს გარემოებებია:

1. აქვს თუ არა პირს დანაშაული ჩადენილი პირველად ცხოვრებაში.
2. იყო თუ არა დამნაშავე დანაშაულის ამსრულებელი, თუ ის მხოლოდ ეხმარებოდა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში.
3. ხომ არ ჩაიდინა დამნაშავემ დანაშაული ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესის ზემოქმედების ქვეშ.
4. რა გარემოებებში ჩაიდინა დანაშაული დამნაშავემ (იყო თუ არა ის მსხვერპლის მიმართ განსაკუთრებით სასტიკი,).
5. დამნაშავე ნანობს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს თუ არა.

ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეიძლება ყოველი კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმები იყოს ბევრად ფართო. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის მიზნების მისაღწევად აუცილებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვა სასჯელის შეფარდებისას. სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და ამავე დროს საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“.

⁴ ირაკლი დვალიძე, „სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები“ (მერიდიანი, 2013), 72.

⁵ G.Vidal, Cours de droit criminel et de science penitentiare, (1921), 172.

⁶ <http://criminal.findlaw.com/criminal-procedure/factors-considered-in-determining-sentences.html>

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების ზედმიწევნით შესწავლისა და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიების განსაზღვრას. მოსამართლემ სასჯელის დანიშნისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობის გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით, არამედ როგორც ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით.

III სასჯელის მიზნები სისხლის სამართალში

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნავს რომ: „ამა თუ იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.“⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან შეიძლება დავასკვნათ რომ თუ სასჯელი არის აშკარად არაპროპორციული საქმე გვაქვს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების აშკარა დარღვევასთან, რაც ყოველად დაუშვებელია.

ნებისმიერი სასჯელი უნდა იყოს მიზანზე ორიენტირებული და მიმართული რესოციალიზაციისკენ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მაგალითად თავისუფლების აღკვეთით ვერ აღმოფხვრა ან შეამცირა დანაშაული ან ვერ გამოასწორო დამნაშავე, სასჯელს მაინც უნდა გააჩნდეს მიზანი და ის უნდა იყოს დანიშნული პროპორციულად. წინააღმდეგ შემთხვევაში „ნებისმიერი უსაფუძვლო, მიზანზე არაორიენტირებული ან არაპროპორციული სასჯელი თავად გადაიქცევა მიზნად, რაც დაუშვებელია და გაუმართლებელი დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში“.⁸

ერთ-ერთი დამატებითი სასჯელი არის ქონების ჩამორთმევა, რომელიც ყველაზე ხშირად ყოფილა დავის საგანი საკონსტიტუციო სასამართლოში. 1997 წლის 21 ივლისის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნაქვამია რომ: „კონსტიტუციის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს მისი შინაარსი, უფრო ზუსტად, კონფისკაციის გავრცელების ფარგლები ანუ რამდენად კონსტიტუციურია კონფისკაციის გავრცელება მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე და არა მხოლოდ დანაშაულის საგანსა და იარაღზე“.⁹ ადამიანს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, დამატებითი სასჯელის სახით არა მარტო ჩამოართმევენ მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, არამედ იმ ქონებასაც რომელსაც ის ფლობს. ასეთ შემთხვევაში ზარალდება ის ადამიანი ვისი საკუთრებაც დამნაშვის მფლობელობის ქვეშ არის. „ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს,

⁷საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ 38.

⁸საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ 39.

⁹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება.

რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ.“¹⁰

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლო ადგენს რომ სასჯელის პროპორციულობაში მოსამართლის მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი საკითხია. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ - „კანონი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამოწვეული ზიანი, დამნაშავის ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გათვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება. მამასადაამე, ერთი მხრივ, ზოგადად, ამა თუ იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“.¹¹

საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევაში დიდ როლს ანიჭებს მოსამართლეს, რადგან ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასჯელი ადეკვატურად იყოს დანიშნული. სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე როდესაც მოსამართლე გამოიკვლევს თითოეული დამნაშავის დანაშაულის პირობებს, კონკრეტულად შეძლებს შეუფარდოს მას სასჯელი და არა ზოგადად ისეთი სასჯელი რაც არის ზოგადი და ვრცელდება ყველაზე.

2016 წლის 15 აპრილს კანადის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის სანქციის სახით განსაზღვრული აუცილებელი მინიმუმის გაუქმების შესახებ. სასამართლომ აღიარა, რომ აუცილებელი მინიმუმი დაწესებულია ნარკომოვაჭრეების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევებისთვის, თუმცა როდესაც პირი ფლობს მცირე რაოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას მეუღლის ან მეგობრისთვის გასაზიარებლად, მისთვის ერთწლიანი მინიმალური სასჯელის დაწესება იქნება უხეშად არაპროპორციული და არალეგიტიმური სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლოს განცხადებით ასეთ შემთხვევებში აუცილებელი მინიმუმის დაწესება ჩაითვლება სასტიკ და უჩვეულო სასჯელად, რაც ეწინააღმდეგება კანადის კონსტიტუციის მე-12 მუხლს.

„ერთი მხრივ კანონმდებელმა უნდა შეძლოს სამართალშემფარდებელი აღჭურვის საკმარისი შესაძლებლობებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირს შეუფარდოს თანაზომიერი სასჯელი ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მოსამართლე უნდა იყოს მზად, ყველა რელევანტური საფუძვლისა და წინა პირობის სკრუპულოზური გამოკვლევის გზით, შეუფარდოს პირს ისეთი იძულების ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნების რეალიზაციას.“¹²

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ 38.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ 45.

IV სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს, ასევე კერძო პირებს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას¹³. ის ინტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.¹⁴

ხელისუფლების დანაწილების პრინციპში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სასამართლო ხელისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი სასამართლოს აღიარებს როგორც დამოუკიდებელ და ხელისუფლების სხვა შტოებისგან განცალკევებულ სტრუქტურას. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და 82-ე მუხლები ადგენენ რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ეს ნორმა გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობის არსებობას, არამედ საქმის მიუკერძოებლად და ობიექტურად გადაწყვეტის გარანტიას. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს უფლება განმარტებული აქვს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილშიც და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების შტოსთან მიმართებითაც: „კანონის უზენაესობის პრინციპის ფარგლებში საჯარო ხელისუფლების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფა არარეალური იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარეშე. აზრს კარგავს სამართლებრივი წესებით ხელისუფლების შეზღუდვა, თუ არ არსებობს ამ წესების შემქმნელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე ინსტანცია, რომელიც კმედებების ამ წესებთან შესაბამისობას დაადგენდა.¹⁵ სასამართლოს მიუკერძოებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სწორედ ხელისუფლების შტოების შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებაა.

საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებას განიხილავს როგორც სამართლის უზენაესობის კატეგორიიდან და ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან მომდინარე გარანტიას, რომელიც მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების ჯეროვნად განსახორციელებლად.¹⁶

¹³ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, პ 1.).

¹⁴ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/2/421,422 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II.1)

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422

გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁶ თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაზე, გიორგი მშენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუსტი მენაბდე, „ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2014) 629

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების სამი შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ შეეძლოს ხელისუფლების მეორე შტოს ფუნქციების მითვისება.¹⁷

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს სამართლიანი სასამართლოს უფლებას მიაკუთვნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. თავის გადაწყვეტილებაში ერიკ ნინ ჰანსენი დანიის წინააღმდეგ (Ninn-Hansen v. Denmark) სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს დამოუკიდებლობას არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისგან, არამედ ასევე კანონმდებლისაგან.¹⁸

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდების პროცესში. აღნიშნული პრინციპი გულისმობს, რომ კანონმდებელი აკონტროლებს სასჯელის შემფარდებელ ორგანოს და სასამართლოს უფლება აქვს სასჯელი დაადგინოს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის მიხედვით მოსამართლის შესაძლებლობა გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება არის სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ასპექტი. სწორედ დისკრეციული უფლებამოსილება აძლევს საშუალებას მოსამართლეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში დაადგინოს სასჯელის შესაბამისი ზომა.

საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა დაადგინოს სავარაუდო სასჯელის ფარგლები, რათა მოსამართლეს განესაზღვროს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების სივრცე. კანონმდებლის მიერ აბსოლუტურად განსაზღვრული სასჯელის დაწესება შინაარსს დაუკარგავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მოსამართლეს მხოლოდ ფორმალურ სასჯელშემფარდებლად აქცევს.

პრეცედენტული სამართლის სისტემა სასჯელის ფარგლების განსაზღვრისას კიდევ უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს. საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომით ეგრეთ წოდებული აუცილებელი მინიმუმის დაწესებაც კი სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევად აღიქმება. ავსტრალიის უზენაესი სასამართლო 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში *Magaming v The Queen* აცხადებს, რომ “აუცილებელი მინიმუმის დაწესებას დისკრეცია მოსამართლიდან პროკურორის ხელში გადააქვს. პროკურორი ბრალდებას წარადგენს სასამართლოში და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულს შეეფარდება უკვე განსაზღვრული სასჯელი. იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, სასამართლო ხელისუფლებას ფაქტობრივად არანაირი როლი აღარ რჩება სასჯელის შეფარდების პროცესში, რითაც შეკავებისა და გაწონასწორების დემოკრატიული მექანიზმი უგულბელყოფილია, რაც თავის მხრივ ასუსტებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. პარლამენტს არ შეუძლია რომელიმე სხვა აღმასრულებელ ორგანოს გადასცეს სასჯელის ზომის განსაზღვრის დისკრეცია.”¹⁹

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესმა 1986 წლის 26 აგვისტოს - 6 სექტემბერს შეიმუშავა სასამართლოს

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება საქმეზე ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 მაისის no28972/95 გადაწყვეტილება *Ninn-Hansen v. Denmark*; i §4

¹⁹ ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ოქტომბრის no S114/2013 გადაწყვეტილება საქმეზე: *Magaming v The Queen* [2013] HCA

დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადი პრინციპები, რომლის მეორე მუხლში წერია, რომ სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.²⁰

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მოიცავს სასამართლოს მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გადაწყვეტის უფლებას. სასამართლოს დამოუკიდებლობა მიიღწევა მოსამართლისათვის მის კომპეტენციაში მყოფი საკითხის გადასაწყვეტად ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭებით. მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩაურევლობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნაა.

V ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში ყოფილ პატიმრებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ.

ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციამ მოიძია 45000 ნორმა, რომელიც ზეგავლენას ახდენს პატიმართა ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ანუ მათ ცხოვრებაზე სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ. ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებენ გარკვეულ აკრძალვებს იმ პირების მიმართ, რომლებმაც ცოტა ხნის წინ დატოვეს სასჯელალსრულების დაწესებულება. მაგალითად, ციხიდან გათავისუფლებულ პირს არ აქვს უფლება იყოს ნაფიცი მსაჯული, აგრეთვე ყოფილ პატიმრებს ამერიკის შტატთა უმრავლესობაში ეზღუდებათ არჩევნებზე ხმის მიცემის უფლება. ზოგიერთ შტატში არსებობს ისეთი ნორმებიც კი, რომლებიც უწესებს ყოფილ პატიმრებს განსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილს, ან იმას თუ როგორი სამუშაოს არჩევა შეუძლიათ მათ. ეს კი რა თქმა უნდა, უმცირებს სამსახურის პოვნის შანსს ყოფილ პატიმარს.²¹

ცხადია, ზემოხსენებული აკრძალვები ვრცელდება იმ პატიმრებზეც, რომლებიც ციხეში მოხვდნენ ნარკოტიკული დანაშაულისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკური მონაცემებით ნარკოტიკული დანაშაულებისთვის ერთხელ მსჯავრდებულთა უმრავლესობა კვლავ უბრუნდება ციხეს. ექსპერტთა მოსაზრებით ამ გარემოების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ ზემოხსენებული ამკრძალავი ნორმებია, ვინაიდან, ციხიდან გამოსულ პირს არ ეძლევა საშუალება იცხოვროს ისე, როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ, აღიჭურვოს იგივე უფლება-მოვალეობებით, როგორც ყველა, ასეთი აკრძალვები არ აძლევს ადამიანს გასაქანს, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყოს, იმუშაოს, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, არამედ, პირიქით - უბიძგებს პირს კვლავ დაუბრუნდეს ძველ ცხოვრებას, ჩაიდინოს იგივე დანაშაული, რაც საბოლოოდ იგივე შედეგს გამოიწვევს.²²

ზემოთქმულის ყველაზე ნათელი მაგალითი არის გარკვეული შეზღუდვები ყოფილი პატიმრის სამუშაო ადგილთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, ის პატიმრები, რომლებიც ციხიდან გათავისუფლების შემდგომ არიან უმუშევრები

²⁰ ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მუხლი 2

²¹ <http://www.adaction.org/media/lizfullpaper.pdf> . PG.35.

²² http://www.temple.edu/tempres/chapters_1400/1727_ch1.pdf

სამჯერ უფრო ხშირად უბრუნდებიან ციხეს იმავე დანაშაულისთვის. ცხადია, რომ არა ამდენი ამკრძალავი ნორმა ყოფილი პატიმრის სამუშაო ადგილთან დაკავშირებით, უფრო მეტი პირი მოახერხებდა სამსახურის მოძიებას, ეს კი შეამცირებდა პირის დანაშაულებრივ ცხოვრებასთან დაბრუნების მაჩვენებელს.

ამერიკაში ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრებული პირების ციხის შემდგომი ცხოვრება ძალიან რთულია, ვინაიდან ყოფილ პატიმრებს უწევთ უამრავი შეზღუდვის გათვალისწინება, რაც უფრო რთულს ხდის მათი რეაბილიტაციის პერიოდს. ისეთი ნორმები როგორცაა: “Housing Opportunity Extension Act of 1996”²³ და “Quality Housing and Work Responsibility Act of 1998”²⁴ კრძალავს ყოფილი პატიმრების ცხოვრებას საერთო საცხოვრებლებში. ამ ნორმის მიზანი არის საზოგადოების დაცვა, მაგრამ პრაქტიკაში გამოვლინდა, რომ ამ ნორმას არ მივყავართ კარგ შედეგებამდე. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში ამგვარი შეზღუდვებით შებოჭილი ყოფილი პატიმრები კვლად დანაშაულებრივ ცხოვრებას უბრუნდებიან.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ “The Higher Education Act of 1998”²⁵, აღნიშნული აქტი ზღუდავს სტუდენტებს, რომლებიც ნასამართლენი არიან ნარკოტიკული დანაშაულისთვის. კერძოდ, სტუდენტებს არ აქვთ გრანტის მიღების ან სესხის აღების უფლება. აღნიშნულმა შეზღუდვამ გავლენა იქონია ამერიკის 200 000 სტუდენტზე, სტუდენტთა უმრავლესობამ ამ შეზღუდვის შემდგომ აღარ გააგრძელა სწავლა, რაც ცხადია, უარყოფითად აისახა არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე შეზღუდვა, რომელიც პირის არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებას უკავშირდება. კერძოდ, ამერიკის 11 შტატში სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ პირს არ აქვს არჩევნებზე ხმის მიცემის უფლება. აღნიშნულმა შეზღუდვამ ამერიკის შეერთებული შტატების წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე 6 მილიონი ადამიანი დატოვა ხმის მიცემის უფლების გარეშე.

ზემოხსენებულ თემაზე საუბრისას აღსანიშნავია ამერიკის პოლიტიკური პირებისა და უბრალო მოქალაქეების დამოკიდებულება ყოფილი პატიმრების მიმართ ამგვარი შეზღუდვების გატარებისადმი, ანუ თვლიან თუ არა ისინი, რომ ამ ნორმებმა გაამართლა და ისინი მართლაც, იცავენ საზოგადოებას და არც თუ ისე ზღუდავენ ყოფილი პატიმრების უფლებებს. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ 2014 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა და მთავარმა პროკურორმა - ერიკ ჰოლდერმა²⁶ განაცხადა, რომ ყოფილი პატიმრებისთვის გარკვეული სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა არის სრულიად გაუმართლებელი და უსარგებლო, აგრეთვე ამგვარი შეზღუდვები წინააღმდეგობაში მოდის ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიულ პრინციპებთან. აგრეთვე აღსანიშნავია, ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრის მატის ჰეკ უმცროსის განცხადება, რომლის მიხედვითაც: პრაქტიკა გვიმტკიცებს, რომ იმ ყოფილ პატიმართა უმრავლესობა, რომლებმაც პატიმრობის შემდგომი შეზღუდვების გამო ვერ იპოვეს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი, ვერ მიიღეს უმაღლესი განათლება, კვლავ ჩადიან დანაშაულს.

არსებობს მრავალი უარყოფითი მოსაზრება წინასწარ განსაზღვრული სასჯელების შესახებ. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც წამოიჭრება ამ საკითხთან დაკავშირებით, გახლავთ სასჯელის

²³ www.congress.gov/104/plaws/publ120/plaw-104publ120.pdf.

²⁴ Portal.hud.gov/hudportal/documents/huddoc?id=DOC_8927.pdf.

²⁵ www.gov.ph/1994/05/18/republic-act-no-7722/

²⁶ www.Justice.gov/opa/speech/attorney-general-eric-holder-delivers-remarks-during-interfaith-service-and-community

ინდივიდუალიზაციის პროცესის არ არსებობა, რადგან სასჯელის დანიშვნა ხდება ავტომატურად და ყველა დამნაშავე განხილულია ერთიდაიგივე სიტუაციაში. დამატებით ლიტერატურაში გამოყოფენ წინასწარ განსაზღვრული სასჯელების შესახებ სხვადასხვა პრობლემებს:²⁷

„1. წინასწარ განსაზღვრული სასჯელი არის კომპლექსური;

2. ყოველ წელიწადს წინასწარ განსაზღვრული სასჯელი განიცდიან მოდიფიცირებას, რაც მატებს მას ფარულობას;

3. წინასწარ განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის მიზანი გახლდათ თავდაპირველად საშიში დამნაშავეების სასჯელალსრულების დაწესებულებაში „გამოკეტვა“, თუმცა რეალურად მთავარი არის დაიკარგა და ერთნაირად გავრცელდა ყველა დონის დამნაშავეზე;

4. არ ხდება ინდივიდუალური მიდგომა თითოეული დამნაშავეს მიმართ.

5. სახელმწიფო საკუთარი ბიუჯეტიდან ხარჯავს დიდ თანხას პატიმრებზე, როდესაც შეუძლია მათი გათავისუფლება დამატებითი სასჯელის დანიშვნის მოხსნით.“

1980-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმატა ნარკოტიკების მომხმარებელთა და საშიში დამნაშავეების რიცხვმა. აშშ-ს რამდენიმე შტატმა იპოვა გამოსავალი წინასწარ განსაზღვრული სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით და შემოიღო ცნება - დამატებითი სასჯელის ინსტიტუტი. „კალიფორნიის შტატი ერთ-ერთია იმ შტატებს შორის, რომელმაც აამოქმედა წინასწარ განსაზღვრული სასჯელის ინსტიტუტი 1977 წელს.“²⁸ აშშ-ს უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს წინასწარ განსაზღვრული სასჯელის სახეები. „3. კუნინგემი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ“²⁹ საქმეში ნათლად არის წარმოჩენილი წინასწარ განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესში არსებული პრობლემები.

როდესაც სასჯელის დანიშვნის საკითხი დგებოდა, მოსამართლეს იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უნდა გაეკეთებინა არჩევანი სამი სახის დამატებით სასჯელს შორის, ესენია: „მინიმალური სასჯელი (6 წლით თ/ა), საშუალო სასჯელი (12 წლით თ/ა) და მაქსიმალური სასჯელი (16 წლით თ/ა). ამ საქმეში ბრალდებულს მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.“³⁰ კუნინგემმა გაასაჩივრა განაჩენი და საქმე განსახილველად გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კუნინგემის წინააღმდეგ გამოტანილი წინასწარ განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესი არ იყო კონსტიტუციური. აღნიშნულის მთავარი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის სასჯელის შეფარდების პროცესში არ მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულები და გადაწყვეტილებას იღებდა მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლე. ანუ ნებისმიერი გარემოება, რომელიც უფრო მძიმე სასჯელის შეფარდების წინაპირობაა უნდა იყოს სასამართლოზე გამოკვლეული და ნაფიც მსაჯულთა მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილი. რადგან ამ საქმეში ყველა ფაქტი იყო მოსამართლის მიერ წარმოდგენილი და მოძიებული, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა

²⁷ Hayes S., Profesor Petersilia, The end of determinate sentencing, January 24, 2006, 13; იხ., <http://law.stanford.edu/wp-content/uploads/sites/default/files/child-page/266901/doc/slspublic/SHayes_06.pdf>

²⁸ <https://en.wikipedia.org/wiki/Cunningham_v._California>

²⁹ Cunningham v. California, გადაწყვეტილება (127 S.Ct. 856), ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, 2007.

³⁰ Cunningham v. California, გადაწყვეტილება (127 S.Ct. 856), ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, 2007, პარაგრაფი 861.

უფლებამოსილებები იყო დაკნინებული და მოსამართლემ გადაამეტა საკუთარ კომპეტენციას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოადგება სასამართლოს მეგობრის ზემოაღნიშნული მოსაზრება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევა.

IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- | | |
|--|--------------------------|
| 1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი. | <input type="checkbox"/> |
| 2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია. | <input type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:

თარიღი: